
დილა
გამოცემის 102-ე წელი
№2. 2006 წელი
ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო;
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ წიკლაურ-ძიძიგური

# დარისა და ავდრისა



რაც არის, არის,
მოდი, ერთად შევსანსლოთ ქარი!
რაც არის, არის,
დავაყოლოთ ზედ წვიმის წყალიც.
რაც არის, არის,
თუ მოვაყრით ქარაშოტს მარილს,
იქნება ბევრად გემრიელი
და ბევრად წყნარიც.
რაც იყოს, იყოს,
მოდი, ჩავულაჰოთ ჭექა-ქუხილიც!
რაც იყოს, იყოს,
დაგვანაყრებს, რა უნდა გვიყოს?!

რაც იყოს, იყოს,
თუ მოვაყრით ქიშმიშს და ნიგოზს,
იქნება უფრო გემრიელი,
მე ასე ვფიქრობ!
მერე ავდგეთ და შევახრამუნოთ
მსუქანი ღამეც.
უმად არ ვარგა,
დავუბრაწოთ ორივე მხარე.
რაც იყოს, იყოს,
მე გიწილადებთ ღამის ყიულიყოს
თქვენგან ერთ-ერთმა კი,
მზიანი „დილა“ მიყიდოს!





ნუგზარ ბახტაძე

# დილას

ასი, ასი ოქროს თასი,
ცის და მიწის ოცნების,
საფიცარო ქართულ სიტყვის,
სამღერეთო მგოსნების.
ჰატარების საჯიშეთო,
ედემ-გადასახედო,
სამეგრელო, იმერეთო,
გურია და კახეთო,
ქართლო, ფშავო, ხევსურეთო,
რაჭავ, მთებო სვანეთის,
დედოფალო საუკუნის,
სიყვარულო - ას ერთის.
ჩვენი სისხლის ყივილი ხარ
და სამშობლოს ბურჯი ხარ,
შინ ნამდვილი ქართველი ხარ,
გარეთ „დიდი გურჯი“ ხარ,
დაგელოცოს მშობელი და
გიდღეგრძელოს გამზრდელი,
საქართველო გეპატრონოს,
კიდევ ასი ამდენი!!!

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ნუნუ კოპალიანი

# ჯიუტი დათუნია

კარგა ხნის გათენებული იყო, როცა პატარა დათუნიამ თვალები გაახილა. დედა ბუნაგში არ დახვდა, საჭმლის საშოვრად წასული იყო დილაადრიან. დათუნიამ ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა, გადაკოტრიალ-გადმოკოტრიალდა, ცოტა ხანს ითამაშა, მერე კი შიმშილმა შეაწუხა. თანაც, გული დასწყდა, დედამ თან რომ არ წაიყვანა. მისი სიტყვები გაახსენდა: „შინ დარჩი საყვარელო, დაიძინე. მე კი წავალ და საჭმელს ვიშოვი. ვიცი, შენც ჩემთან ერთად გინდა წამოსვლა, მაგრამ მეშინია რაიმე ხიფათს არ გადავეყაროთ. ჯერ პატარა ხარ. სირბილიც არ შეგიძლია. ცოტაც მოიცადე, გაიზრდები და მერე ერთად ვივლით. იცოდე, არსად წახვიდე, ბუნაგში დამხვდი“.

როგორც ყველა პატარა, დათუნიაც ჯიუტი იყო, თავი ყოვლისშემძლე ეგონა. გულდაწყვეტილმა იფიქრა, იფიქრა და თავისი პატარა ჭკუით, აი, რა მოიფიქრა: — „ახლა მეც წავალ, დედას ნაფეხურებს გავყვები, მოულოდნელად თავზე დავადგები და, ბოლოს და ბოლოს, მიხვდება, რომ არც ისეთი პატარა ვარ, როგორც მას ჰგონია“. ბევრი არ უფიქრია და, თავის ძალებში ღრმად დარწმუნებული, დედის საძებნელად გაეშურა.

დედის ნაფეხურებს ყნოსავდა და მის ნაკვალევს მიჰყვებოდა. კარგა ხანს იარა, მაგრამ მოულოდნელად გაწვიმდა. წვიმამ ნაფეხურები წაშალა და დათუნიამ კვალი დაკარგა. უკან, ბუნაგში დაბრუნებაც ველარ შეძლო. ძალიან შეეშინდა, მაგრამ არ გაჩერებულა, გზა გააგრძელა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. ჯიბრზე წვიმა თანდათან ძლიერდებოდა. საბრალო დათუნია მშიერი, დაღლილი, გაწუწული მიძუნძულებდა უდაბურ ტყეში. ყველაზე ცუდი კი ის იყო, წინაც არავინ ხვდებოდა, რომ ეკითხა, სად წავიდა მისი დედიკო. წარამარა ეცემოდა. ტალახში ამოიგანგლა. ახლა მწარედ ნანობდა, დედას რომ არ დაუჯერა, მაგრამ გვიანღა იყო.

დათუნიამ ბევრი იარა და ბოლოს პატარა მინდორზე გამოვიდა. ხედავს, ხის ირგვლივ უამრავი ბუზი ირევა. შვებით ამოისუნთქა. იფიქრა, მივალ და მათ ვკითხავ, ჩემი დედიკო ხომ არ უნახავთო. გახარებული, ხისკენ გაიქცა, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისე დაესივნენ ბუზები და კბენა დაუწყეს. ვერ გაიგო რას ერჩოდნენ, რა დაუშავა. სიმწრისგან ღრიალებდა და აბეზარ ბუზებს იგერიებდა. როგორც იქნა, თავი დააღწია და ძალაგამოლეული დაეცა. საცოდავს ცხვირ-პირი სულ დაუსივდა. მწარედ ტიროდა და ამ ტირილში ჩაეძინა კიდევაც.

კარგა ხანს ეძინა. გაღვიძებულმა დასიებული თვალი ძლივს გაახილა. წვიმას უკვე გადაეღო. მზეს იქაურობა საამო სითბოთი აევსო. დათუნიას სითბო ესიამოვნა. ძილში ნაკბენი ადგილებიც გაყუჩებოდა. მიმოიხედა. იქვე, ახლოს, ყვავილზე ლამაზი, პატარა მწერი იჯდა. დათუნია შეშინებული წამოხტა.

— არ მიკბინო, გევედრები, არ მიკბინო, მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებია!

— ჩემი ნუ გეშინია, არ ვიკბინები. პეპელა ვარ. აქ მარტო რას აკეთებ? შენ ხომ ჯერ კიდევ პატარა ხარ, სად არის დედაშენი? უი, შე საბრალო, როგორ დაგსივებია ცხვირ-პირი, გეტყობა, ფუტკრებმა დაგკბინეს ასე მწარედ.




— ჰო, იმ საშინელმა ბუზებმა დამკბინეს. არ ვიცი, რას მერჩოდნენ?! მინდოდა დახმარება მეთხოვა მათთვის, — აზლუქუნდა დათუნია, მერე კი დაწვრილებით უამბო პეპელას თავისი თავგადასავალი.

— ვიცი, რომ გტკივა და მეცოდები, მაგრამ უნდა გითხრა, რომ ფუტკრები საშინელი ბუზები სულაც არ არიან. თავდაუზოგავად შრომობენ, ყვავილებს წუწნიან და მერე იქიდან თაფლს ამზადებენ. თაფლი კი ძალიან გემრიელია და ყველას უყვარს — განსაკუთრებით დათვებს. თუ მოუხერხდათ, ქურდობაზეც არ ამბობენ უარს. დარწმუნებული ვარ, შენც თაფლის მოსაპარად ეგონეთ მისული და ამიტომაც დაგკბინეს, — აუხსნა პეპელამ, — ალბათ ძალიან გშია, წამოდი ჩემთან. მე მათ ყველაფერს მოვუყვები და თაფლსაც ვთხოვ შენთვის.

ორივემ ფუტკრებისკენ გასწია. დათუნიამ ახლოს მისვლა ველარ გაბედა, შორიახლო გაჩერდა. პეპელამ კი ყველაფერი უამბო გამოგებებულ დედა ფუტკარს. ისიც ძალიან შეწუხდა და დათუნიასთან მიფრინდა ბოდიშის მოსახდელად.

— ძალიან ვწუხვარ. ჩვენ თაფლის ქურდი გვეგონე. წამოდი ჩემთან, ნურაფრის გეშინია, ჩაყავი თათი და იმდენი თაფლი ამოიღე, რამდენიც გაგიხარდება. ახლა აღარავინ გერჩის, — უთხრა დედა ფუტკარმა.

დათუნიამ ფრთხილად ჩაყო თათი ხის ფუღუროში და იქიდან ფიჭის ნატეხი ამოიღო. გასინჯა და გაოცებისა და სიამოვნებისგან თვალები გაუბრწყინდა!

გაიხარა, მაგრამ, რა გაიხარა... მერე ისევ დედა გაახსენდა და მოიწყინა. ფიჭის პატარა ნატეხი კი თათში შეინახა.

— ჩვენ დედაშენი არ გვინახავს, მაგრამ ვიცი, ვინც დაგვეხმარება, — უთხრა ფუტკარმა, — ტყის ტელეფონი უნდა გავაკეთოთ, თორემ ასე არაფერი გამოგვივა, რადგან ტყე ძალიან დიდია, შენ კი — ძალიან პატარა.

— ტყის ტელეფონი რას ნიშნავს?

— ახლავე ნახავ, — უთხრა ფუტკარმა და მაღლა შესძახა: — ჰეი, ჰეჰეი, ფრინველებო, ვინც ახლოს ხართ, დაგვეხმარეთ. პატარა დათუნია თავის დედიკოს ეძებს. გთხოვთ, გვაპოვნინეთ!

დათუნიამ გაიგონა ხიდან ხეზე ჩიტების გადაძახილი „პატარა დათუნია თავის დედიკოს ეძებს! პატარა დათუნია თავის დედიკოს ეძებს.“

მალე საპასუხო ხმებიც მოისმა.

— აქეთ! აქეთ! აქეთ მოუხვიე! მომყევი!

დათუნია ხმებს მიჰყვა. ხმები თანდათან ძლიერდებოდა და დათუნიამ დაინახა, მის თავზე ფრინველების გუნდი შეკრებილიყო. მალე ჩიტების გახარებული ხმები მოისმა:

— აქ არის, აქ!

გახარებული დათუნია წინ გაიჭრა და ხის ძირში მოწყენილი დედა დაინახა.

— დედა! — დაიძახა და მასთან მივარდა.

— აღარც მეგონა თუ გნახავდი, შვილო, როგორ შემაშინე, რატომ არ დამიჯერე, — უწყრებოდა დედა და თან გულში იკრავდა.

— მაპატიე დედა, მეტს აღარ ვიზამ! გპირდები, ძალიან მომენატრე! ნახე, რა მოგიტანე, — უთხრა დათუნიამ, პაწაწინა თათი გაშალა და ტკბილი ფიჭა გაუწოდა.

დედა-შვილს ზემოდან გულაჩუყებული ფრინველების გუნდი დასცქეროდა.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანო ჩხიკვაძე

## იჩქარე, ზაფხულო

დაიტყო სიმწიფე ასკილმა,
დაწითლდა ბუჩქებში კუნელი.
ტოროლამ სათიბებს გასჭყივლა,
დახტუნავს პატარა სულელი.

ჩემს თვალწინ სურამის ციხეა,
კლდეებზე შემჯდარი ბებერი.
ჯავრისგან კვნესის და იშლება,
რიყის ქვის მტირალა კედელი.

ფიჭვის ტყეს მიჰყვება ნახირი,
ზოზინით მიიწევს, ბალახობს.
მილშიაც ჩამესმის მახილი:
ადექი, მთებისკენ გავლა ჯობს.

ნუ მესაუბრები სიზმრიდან,
გნატრულობ ღამე და ცისმარე,
დღეებს და საათებს ვითვლი და,
იჩქარე, ზაფხულო, იჩქარე.

სალომე ომიაძე

## აღდგომის დილა

მილისგუდა ქეთინომ
დღეს დაგვასწრო ადგომა,
მოგვილოცა სუყველას
უფლის მკვდრეთით აღდგომა.

მერე მებნა დაიწყო,
გვერდზე მიდგა ქილა,
წითელ-წითელ კვერცხებში
აარჩია ჯილა.

დაურბინა მეზობლებს,
ყველას კარი შეაღო,
შინ როდესაც დაბრუნდა,
ბებომ წყენა შეატყო.

სააღდგომო პასქისთვის
ბებო ნიგოზს ხალავს,
კუთხეში ზის ქეთინო,
ცრემლებს ვეღარ მალავს.

- ქეთი, რა მოგივიდა? -
ეკითხება ბებია.
- მე რომ ჯილა მეგონა,
შემრჩა ნაჭუჭებია.



მხატვარი
ირინე ტაბლიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ახვლედიანი

# ქეთევანი

ექვსი წლისაა ქეთევანი.

ახლავე უნდა გითხრათ, არ უყვარს ქეთინოს ან ქეთის რომ დაუძახებენ. მაშინვე გაებუსხება ქვედა ტუჩი, მოექუფრება წარბები და ჩაიბუტბუტებს:

— მე ქეთევანი მქვია!

გულკეთილი და მგრძნობიარე გოგონაა ქეთევანი. ზოგჯერ ჩაფიქრება იცის. ზის ასე თავისთვის, ზის, ზის... მერე ისევ აკისკისდება, ახითხითდება. სახლს კრიალა ხმით გაავსებს.

— რაო? ლამაზი თუა? ვინ, ქეთევანი?!

ლამაზია და მერე როგორი!

თმები მზისფერი აქვს. ორ კიკინას ყურებთან ბაფთებით იკრავს. ცისფერი ბაფთები უყვარს. ცისფერი და, აუცილებლად ფართო. რომ შეხედავ, გეგონება, პეპლები ასხედან მხრებზეო. მერე იმასაც გაიფიქრებთ, ახლა ამ პეპლებმა ფრთები რომ გაიქნიონ, აფრინდებიან და ქეთევანსაც აიტაცებენ ჰაერშიო. იმიტომ, რომ ბაფთები დიდია, ქეთევანი კი — გამხდარი, სიფრიფანა-სიფრიფანა...





ერთხელ დედამისი მეუბნება:

— იცით, რატომაა ასეთი?

— რატომ?

— ფაფასთან უკაცრავადაა და იმიტომ.

— აუჰ! ეგ რა მითხარით. ფაფაზე უკეთესი საჭმელი მთელ ქვეყანაზე არ არის! — ვამბობ და თან ცალი თვალით ქეთევანს ვუყურებ.

— ძია, თუ ასე მოგწონთ ეგ ფაფა, ჭამეთ რამდენიც გინდათ, — მეუბნება ის ეშმაკის ფეხი, ისა.

არც კარაქი უყვარს თურმე. რაო? აბა, რა უყვარს? რა და, თამაში. თამაში და ხატვა.

საჭმელებიდან? საჭმელებიდან, სამწუხაროდ არაფერი. ასეთი გოგონაა და რას იზამ.

მოიცათ... ჰო, მართლა, გამახსენდა, შოკო უყვარს. შოკო რა არის, არ იცით? არ გყვარებიათ და იმიტომ. შოკოლადია!.. „დათუნიაზე" ხომ გიჟ-დე-ბა! აქვს პირის გემო, ა?

ისე, მეც არ ვიტყოდი ახლა უარს მაგ სასუსნავზე. რაო? მე და ქეთევანს ერთნაირი გემოვნება გვაქვს? მთლად ასე არაა. მე, მაგალითად, ფაფაც მიყვარს. ამხელა კაცი ხომ ვარ, მაინც მიყვარს ფაფა. თანაც უკარაქოს კარაქიანი მირჩევნია.

კი, გამხდარი გოგონაა ქეთევანი, მაგ-



რამ ლამაზი. ლამაზი-ოჰოჰოო! სიმსუქნე კაი არაა, მაგრამ ცოტას, სულ ცოტას რომ მოიმატებდეს ქეთევანი, გეფიცებით, მზეთუნახავი იქნება.

ჰო, იმას ვამბობდი, დიდი თვალები აქვს მეთქი ქეთევანს. კუთხეებში აპრეხილი, გრძელი, შავი წამწამებით დაჩრდილული.

ფერი? როგორ გითხრათ, ადრიან გაზაფხულზე ხასხასა ბალახი რომ ამოვა კორდზე და აბიბინდება, მერე ალიონზე მზეც რომ ამოიწვერება და სხივებით შეეთამაშება, გინახავთ? ჰო, ასეთი ფერის თვალები აქვს ქეთევანს.

თუ მხიარულ გუნებაზეა, ხშირად ახამხამებს წამწამებს. მაშინ მის თვალებში ნამდვილი ფერხული აქვთ ჭინკებს. მოიწყენს და — ჩააფენს წამწამებს. მოიბუზება თვითონაც. გაბუსხავს ქვედა ტუჩს და არის ისე.

ხატვა რომ უყვარს ქეთევანს, უკვე გითხარით. ამ დროს ძალიან ჩაფიქრებულია.

ერთ დღეს ძალიან მოიწყინა გოგონამ. გაილვიძა და, წამოდგა თუ არა, ფანჯარასთან მოიკალათა, ციცქნა თითებში ჩარგო ნიკაპი, იდაყვებით დაეყრდნო რაფას და ნაღვლიანად მიაჩერდა სივრცეს.

ქეთევანის მაგიდაზე წინადღით ფერადი ფანქრებით დახატული სურათი იდო. საერთოდ, ღია ფერები უყვარს ქეთევანს. განსაკუთრებით ცისფერი იზიდავს. ნარინჯისფერიც. ამ ორ ფერს ძალიან კარგად უხამებს ერთმანეთს. უჰ, რამდენი სინათლე და სიმსუბუქეა მის ნახატებში! ამ ფერებით ხატავს იგი დედიკოს, მამიკოს, ბებოს, დეიდა ნატოს, უმცროს ძმას — მამუკას და ფუმფულა ფისოს... მთელ სამყაროს.

ქეთევანმა მაგიდისაკენ მოიხედა, მერე ფრთხილად ჩამოვიდა სკამიდან, კარადის უჯრიდან სახატავი ფანქრები ამოალაგა, ჩაფიქრდა და ხატვას შეუდგა...

გვიან საღამოს შინ დაბრუნებულმა მამამ უჩვეულოდ მუქ ფერებში შესრულებული საკუთარი პორტრეტი შენიშნა მაგიდაზე და შეცბა. ერთხანს შუბლშეჭმუხნილი დასცქეროდა ნახატს. მერე მეორე ოთახში გავიდა, ფიქრებში გახვეულ ცოლს მხარზე ხელი დაადო და წარმოსთქვა:

— მაპატიე... გუშინდელის გამო მაპატიე, ძვირფასო!..

უცებ ორივეს მოეჩვენა, თითქოს ლოგინში მძინარე ქეთევანს ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე...

მხატვარი რეზო ადამია



„დილის" ფოსტა




ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო პრეზიდენტო! მე თქვენთან მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს. და ეს თხოვნაა, რომ [illegible], თქვენი ძალიან, ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები, ნუ გამოუშვებთ(?) წიგნებს(?) „დილის", ნუ გაყიდით ამ ჟურნალს, მე, და მხოლოდ მე კი არა ჩვენ, ყველას, ძალიან, ძალიან გვიყვარს ჟურნალი „დილა"

ბატონ პრეზიდენტს
მანია(?) მარიამისგან(?)

ბატონო პრეზიდენტო ნუ გაყიდით ამ ჟურნალს(?) ... რადგან ბევრი ბავშვი ვერ(?) ... „მოძღვარი(?)" რომ არ ... თქვენ მადლობა(?) ... თქვენზე უფრო(?) რომ ძალიან ... და არ დაუშვებთ(?) ამ ჟურნალის(?) ...

მადლობა(?) რომ ... და ... ქალი(?) ... საყვარელი(?) ... სააკაშვილ(?)

ნ ე ც ა ს ზ ა ნ(?)

I live YOU

... ჟურნალ „მოძღვარის(?)" ... IV კლასის მოსწავლე ნუცა(?) ... შვილი

Mr. Mixeil Saakashvili

ბატონო პრეზიდენტო

ბატონო პრეზიდენტო გთხოვთ, გულით გთხოვთ ნუ ... ამ გაყიდით ჩვენთან „მოძღვარს(?)" მოდის ყველა ბავშვი იღებს ეს ძალიან საინტერესო ზღაპრები, მოთხრობები და ლექსები ... ძალიან გამიხარდება თუ არ გაყიდით და თუ გაყიდით თქვენზე ძალიან შეწყენდა(?). მთელი ჩვენი კლასი გთხოვთ IV კლასი.

ანასარიძე(?)
სალომე

მარიამ ხიდე(?)

ბატონო
გთხოვთ
„დილა"
არ
გაყიდოთ
არ გაყიდოთ
დილა
2005წ
პრეზიდენტო

ბატონო პრეზიდენტო გულით და სულით გთხოვთ ნუ მისცემთ უფლებას თქვენს ხალხს ყოველთვის(?), დახურონ და გაყიდონ ყველასათვის საყვარელი ~~ჟურნალი~~ ჟურნალი „დილა". ძალიან დიდ პატივს გცემთ. მოუთმენლად(?) გილოცავთ(?) ბაბუა-ნიკოლოზის(?) დაბადებას(?). ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ხელს შეგვიწყობთ გავზარდოთ ჭკვიანი და განათლებული თაობა, რათა ვასახელოთ ჩვენი სამშობლო.

ელისო ხანა(?)

LITERARY MAGAZINE 1924 203855



# ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი

ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი

ფოტოები ვასილ გულდეურის
ბიბლიოთეკა



ქალაქ გორის აღმოსავლეთით 10 კმ-ზე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას მდებარეობს კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება, კლდეში ნაკვეთი ქალაქი – უფლისციხე. ეს დასახლება ჯერ უფლისციხის მიდამოებში მცხოვრები თემების ჰეგემონი თემის საცხოვრისი გამხდარა, შემდეგ კი – „ზენა სოფლის" (შიდა ქართლის) ტომთა გაერთიანების ცენტრი, სადაც ამ გაერთიანების მეთაური (მამასახლისი), უფალი მჯდარა (აქედან მოდის სახელწოდება უფლისციხე). ჩვ. წ-მდე VI-IV საუკუნეებიდან უფლისციხე ქალაქური ტიპის დასახლება იყო, რომელიც მომდევნო საუკუნეებში მსხვილ საქალაქო ცენტრად იქცა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მან IX-X საუკუნეებში შეიძინა, იმ დროს თბილისი არაბების ხელში იყო, დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველოს გაერთიანების პროცესში უფლისციხე ქვეყნის ცენტრალური ქალაქის მაგიერობას სწევდა. არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ უფლისციხე, როგორც ქალაქი მონღოლთა შემოსევების დროს განადგურდა და შეწყვიტა არსებობა.

# უფლისციხე









შუაგულ აფრიკაში, ჯუნგლებით გარემოცულ პატარა დასახლებაში მოხუცი ექიმი გარდაიცვალა. გარდაიცვალა ისე მშვიდად, თითქოს დაიძინაო. ძალიან დაიღალა. ნახევარი ასწლეულის წინ ევროპიდან გაბონის აუტანლად ცხელ ჯუნგლებში, ადამიანებისგან მივიწყებულ პატარა სოფელში, უმწეო ავადმყოფების დასახმარებლად და გადასარჩენად ჩამოვიდა. ახლა კი მისი სახლის წინ, გავარვარებულ მიწაზე სხედან მგლოვიარე აფრიკელები. ტამტამების რიტმული ხმა უდიდესი თეთრკანიანი ექიმის სიკვდილს ამცნობს ჯუნგლების მკვიდრთ.

თეთრკანიანი ექიმი ალბერტ შვეიცერი იყო.

დაიბადა ბედნიერ და ხმაურიან სახლში. ღარიბი პასტორის, ლუი შვეიცერის ოჯახს უკვე ორი ბიჭი და სამი გოგონა ჰყავდა. მხიარული და ბედნიერი იყო ალბერტის ბავშვობა... მაგრამ, სხვათა თვალით. მოგონებებში, რომლებიც მოგვიანებით წიგნად გამოსცა, შვეიცერი ისეთ დეტალებს იხსენებს თავისი ბავშვობიდან, რომლებსაც მხიარულების ელფერი ნაკლებად დაჰკრავს.

...რვა წლის იყო. მასზე ორი წლით უფროსმა ჰენრიხ ბრეშმა ყველა ბიჭისთვის ნაცნობი იარაღის – შურდულების გაკეთება და მთაზე გასეირნება შესთავაზა. ადვილი მისახვედრია, გასეირნების მიზანი ფრინველებზე ნადირობა იყო. პატარა ალბერტი შეცბა, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედა, შეეშინდა, დამცინებენო. ჩიტები ჯერ კიდევ ხის შიშველ, შეუფოთლავ ტოტებზე ისხდნენ. პატარა ონავრები ინდიელებივით მიწაზე გართხმულები მიცოცავდნენ წინ. ბოლოს მეზობლის ბიჭმა კენჭი აიღო და „კარალის" დატენვის ბრძანება გასცა. ალბერტმაც დაუმიზნა უმწეო ფრინველს, მაგრამ შიშისგან თითქოს გახევდა. შორიდან ეკლესიის ზარების ხმა ისმოდა და, ბიჭი მიხვდა, როგორ ემოქმედა: წინ გაიჭრა, ფრინველები დააფრთხო და თითონაც გაიქცა... შორს, რაც შეიძლება შორს...





...მეზობლის ბიჭებთან ხშირად თამაშობდა და, თითქოს, მათგან არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ალბერტს ეჩვენებოდა, რომ თანატოლები ხშირად ამრეზით უყურებდნენ. ყველაფერი ერთი პატარა წაკინკლავებით დაიწყო. ალბერტი არასოდეს იწყებდა ჩხუბს, მაგრამ არც არასოდეს გაურბოდა. ერთი ასეთი კინკლაობის დროს მასზე მოზრდილი, ჯან-ღონით სავსე ბიჭი ქვეშ მოიქცა. გაბოროტებულმა მოჩხუბარმა ზიზღით ამოსძახა, შენსავით დღეში ორჯერ რომ ვჭამდე წვნიან კერძს, მეც კარგად მოგიგდებდი ქვეშო.

გამარჯვებული ალბერტი სახლში ნაცემივით წაღასლასდა. სწორედ ის უთხრეს, რაზეც ეჭვობდა. ბიჭები თავისიანად არ თვლიდნენ, რადგან პასტორის შვილი იყო, პატივცემული და შეძლებული ოჯახიდან.

იმ დღიდან წვნიანს პირს არ აკარებდა. თავის ტანსაცმელსაც დააკვირდა. შარშან მამის გამონაცვალი პალტო გადაუკეთეს. გაახსენდა, მკერავმა რომ უთხრა, ამ პალტოში ნამდვილ ბატონს გავხარო. გაახსენდა და ლამის იტირა. მეზობლის ბიჭები უპალტოოდ დარბოდნენ, ხშირად ფეხზეც არ ეცვათ.

იმ კვირას ეკლესიაში წასვლის წინ უარი თქვა პალტოს ჩაცმაზე. ყოველთვის მშვიდი პასტორი ბიჭის გაუგებარმა პროტესტმა მდგომარეობიდან გამოიყვანა და სილაც კი გააწნა შეამბოხეს. ამანაც არ უშველა. მას მერე ეკლესიაში ან სტუმრად წასვლის წინ ერთი და იგივე სცენა მეორდებოდა, რის შემდეგაც დასჯილი და საკუჭნაოში გამოკეტილი ბიჭი სახლში რჩებოდა. ასეთი საქციელი ნამდვილი გმირობა იყო, მაგრამ მეზობლის ბიჭებმა არაფერი იცოდნენ და ვერც ვერაფერს ხვდებოდნენ.

...ორჯერ წავიდა სათევზაოდ, მაგრამ ორჯერვე თვალდახუჭული იჯდა. შემზარავი სანახაობა იყო: ანკესის ნემსკავზე წამოგებული ჭიაყელა საცოდავად იკლაკნებოდა, ნაპირზე დაგდებული თევზი კი პაერის უკანასკნელი ნაკადის გადასაყლაპავად უმწეოდ აღებდა პირს. მას მერე მსოფლიოში თევზაობის მოყვარულთა რიცხვი ერთით შემცირდა.



# ალბერტ შვეიცერი



ალბერტის მამა, პაპა და პაპის მამაც პასტორები იყვნენ. ბიჭს არც უფიქრია ოჯახური ტრადიციის დარღვევა. სკოლისა და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც თეოლოგიასა და ფილოსოფიას სწავლობდა. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მამაპაპისეულ გზას მიუბრუნდა და პასტორი გახდა, მაგრამ მალე ისევ შეცვალა გადაწყვეტილება და უნივერსიტეტს დაუბრუნდა. პარალელურად თავის მეორე უდიდეს გატაცებას – მუსიკას არ ღალატობს. ახალგაზრდა ორგანისტს ბახის საუკეთესო შემსრულებლად აღიარებენ. სტეფან ცვეიგი საგანგებოდ ჩადის გიუნსბახში (ქალაქი, სადაც შვეიცერი ცხოვრობს), რათა მოისმინოს ბახი მისი შესრულებით. მოგვიანებით იხსენებს, რომ ერთხელ კონცერტზე საოცარმა მუსიკამ ასევე საოცარი შესრულებით ირგვლივ ყველა და ყველაფერი დაავიწყა, გონზე მოსული კი მიხვდა, რომ ტიროდა.



შვეიცერი ყველაფერს ასწრებდა: კონცერტებსაც მართავდა და პარიზში გერმანულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაზე ლექციებსაც კითხულობდა. დიდების მწვერვალზე იყო. მეგობრობდა იმ დროის ყველაზე გამორჩენილ და პატივსაცემ ადამიანებთან. თითქოს ის დრო იყო, ცხოვრებით რომ უნდა დატკბეს კაცი...

მაგრამ მისმა გადაწყვეტილებამ ყველა გააოგნა. შვეიცერმა აფრიკაში მოხალისე ექიმად წასვლა გადაწყვიტა. ოცდაათი წლის ასაკში თითქოს ახალი ცხოვრება დაიწყო, ჩააბარა სამედიცინო ფაკულტეტზე. აქვე გაიცნო მომავალი მეუღლე და თანამოაზრე ელენ ბრესლაუ. ორი წელი პრაქტიკოს ექიმად იმუშავა, მერე კი ერთი წელი მოანდომა საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და ნაცნობ-მეგობრებთან სირბილს, რათა წასასვლელი თანხა მოეგროვებინა. ახლადშექმნილ ოჯახს ფული იმდენი ჰქონდა, რომ აფრიკამდე ჩაეღწევდნენ, მაგრამ მედიკამენტების და სამედიცინო აღჭურვილობის გარეშე ვერაფერს გახდებოდნენ.

.....1913 წელი. ცენტრალური აფრიკა, გაბონი, პატარა სოფელი ლამბარენი. ამიერიდან შვეიცერი აქ დასახლდა. ადგილობრივები დიდი სიხარულით არ ეგებებიან დახმარების სურვილით ანთებულ თეთრკანიან ექიმს, მაგრამ ერთ განკურნებულ პაციენტს მეორე მოჰყვება, მეორეს – მესამე. ჯერ ამბულატორიაც არ ჰქონდათ და ექიმი პირდაპირ, ღია ცის ქვეშ იღებდა ავადმყოფებს. ნელ-ნელა გაჩნდა ნდობა. უცნაურ ტაბლეტებს, რომლითაც მშვიდი გაბონელები აქამდე მძივებს და სამაჯურებს ასხამდნენ, ახლა უშიშრად ყლაპავენ. ექიმს დღეში 30-40 ავადმყოფის მიღება უხდება.

შვეიცერი აქ ექიმიცაა, მღდელიც, სანიტარიც, ხის მჭრელიც, ცხოველების მომვლელიც. აფრიკაში სხვაგვარად ვერ იცხოვრებ.

დროდადრო ევროპაში ჩადის, ლექციებს კითხულობს, კონცერტებს მართავს, ჰონორარით კი მედიკამენტებსა და სურსათს ყიდულობს და ისევ უკან, აფრიკაში ბრუნდება. ამასობაში კი ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ერთგული ელენი უკვე 12 წელია გვერდით აღარ ჰყავს. დაიღალა, მაგრამ ბედნიერია. „ოცი წლის ასაკში ადამიანს ღმერთისგან ბოძებული სახე აქვს; ორმოცი წლისას – სახე, რომელიც ცხოვრებამ მოგვცა, სამოცი წლისას კი – სახე, რომელიც დავიმსახურეთ", – ეს ალბერტ შვეიცერის სიტყვებია.



91 წლისა გარდაიცვალა. ყველა, აფრიკელი და თეთრკანიანი, დიდი და პატარა, ავადმყოფი და განკურნებული, ყველა ერთი და იმავეს იმეორებდა – „ის ჩვენთვის მამასავით იყო".

• 1952 წელს ალბერტ შვეიცერს ნობელის პრემია მიანიჭეს. ჯილდოს მისაღებად ევროპაში ჩასვლა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოახერხა. ამ ფულით ლამბარენთან ახლოს ლეპროზორიუმი (კეთრით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულება) ააშენა.

• აფრიკაში მოღვაწეობის მანძილზე შვეიცერმა უდიდესი სამკურნალო ცენტრი შექმნა. მარტო 1961 წლის მონაცემებით, დახმარებისთვის აქ 6000 ადამიანი მივიდა, 802 ოპერაცია გაკეთდა და 400 ათასზე მეტი ბავშვი დაიბადა.

• აფრიკიდან ძალიან შორს, რუსეთში, ალბერტ შვეიცერის ცხოვრებითა და მოღვაწეობით შთაგონებულმა დიდებულმა საბავშვო მწერალმა კორნეი ჩუკოვსკიმ დაწერა ყველა თაობისთვის საყვარელი ნაწარმოები „ექიმი აიბოლიტი". თურმე აიბოლიტის მსგავსი ადამიანები მარტო წიგნებში კი არა, ნამდვილ ცხოვრებაშიც არსებობენ.



კორნეი ჩუკოვსკი



# ანაგრამა

შეაერთე სიტყვები და ამოიცანი ერთი ოჯახის წევრები

არ გამოიყენო მხოლოდ ლურჯად აღნიშნული ასოები

კრემი+რუ=

არენა+თვე=

რვა+სიმი=

ასი+ტურნე=

ტიპიური+ერი=

ამწე+დარდი=

ნავი+რუ=

პენსნე+ტუჩი=

პონი+ტღუ=




სამი მოქმედებით ისე უნდა გადააბრუნო მონეტები, რომ შემდეგი თანმიმდევრობა მიიღო: არიოლი, რეშკა, არიოლი, რეშკა... მაგრამ არც ასეთი იოლია დავალება, უნდა მოახერხო და გადააბრუნო ერთდროულად ორ-ორი მონეტა, თანაც აუცილებლად გვერდიგვერდ მყოფი.

არიოლი – მონეტის წინა მხარე

რეშკა – მონეტის უკანა მხარე



ნიკო ფიროსმანი

ქალი სააღდგომო კვერცხებით

# იპოვე 15 განსხვავება

ეროვნული ბიბლიოთეკა




როზეტა ჩხიკვაძე

## თქვენი პატარა კესანე

ჯერ ერთი წლისაც არა ვარ,
მაგრამ მალიან მარდი ვარ.
დედას, ბებიებს, ბაბუას
სუყველას გულის ვარდი ვარ.
მამიკო არის ექიმი,
მიტომ არ ვხდები ავადა.
ჩემმა მხატვარმა დედიკომ,
დღეები გამიფერადა.
ჩემო ლამაზო დედიკო,
ჩემო ჭკვიანო მამიკო,
თქვენი პატარა კესანე
გთხოვთ შემიძინოთ ძამიკო!
კარგი იქნება ძმის მერე
თუ მიყიდიან დაიკოს,
რომ ლამაზ წუთისოფელში
სითბო და-ძმურად გავიყოთ.






ანა უნგიაძე
მე-20 საშ. სკოლის
მოსწავლე

## გაზაფხული

გაზაფხულის ფერიამ
ჩამორეკა ზარი,
მოახსენა ყველას:
- გაზაფხული არის.
კვლავაც ყვავილების
სურნელება დადგა,
გაილვიძა მზემ და
მუჯლუგუნი წაჰკრა
ჩირგქვეშ მძინარ ბაჭიას.
დაზაფრულმა ბაჭიამ
ორთავ ყური ასწია,
ვერ გაერკვა რა მოხდა
და სირბილით გასწია.




## გაღვიძება

ყველას გვახარებს გაზაფხულის მოსვლა, დიდს და პატარას. თუმცა პატარებს ზამთარიც გვიხარია, თოვლი, გუნდაობა, ციგაობა, მაგრამ გაზაფხული სხვაა.

თავიდან გაზაფხული ზარმაცი, მძინარა ბავშვივით ილვიძებს – ხელს რომ ამოყოფს ლოგინიდან და ცივ ოთახში წამოდგომა ეზარება. ფიქრობს, აი ახლა ავდგები, ჩავიცვამ ტანსაცმელსო, მაგრამ თბილ ლოგინს მაინც ვერ თმობს. ბოლოს, როგორც იქნება, წამოდგება. მერე კი გაგიხარია... მთელი დღე უდარდელად დარბის, თამაშობს.

გაზაფხულიც ასეა. ნელ-ნელა ილვიძებს, თვალებს ზანტად ახელს, მერე კი ერთბაშად იფეთქებს და გაგვახარებს თავისი ცვალებადი ხასიათით: ხან ჭირვეული ბავშვივით ტირის, თითქოს ვილაცამ გააბრაზა და გული ატკინაო. ტირის, ტირის და ველარ ჩერდება. ხან კი იცინის, მზეც სითბოს აფრქვევს. გვახარებს ათასფრად აყვავებული და გამწვანებული ბუნებით. ულევ სიხარულს და ბედნიერებას გვპირდება. ადამიანი კი, როცა ბედნიერია, უფრო კეთილი და მოსიყვარულე ხდება.



ნინო სიხარულიძე
94-ე საშ. სკოლის V კლ. მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია კვანტალიანი

# პატარა ოინბაზები

ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს შიმშილმა თითქმის ყველა ოჯახში დაისადგურა. დუხჭირი ცხოვრებისა და გაჭირვების გამო გიორგისა და კოტეს ქალაქში კიდევ ერთი მძიმე ზაფხული ელოდათ, მაგრამ მშობლებმა გადაწყვიტეს, ბავშვები, სულის მოსათქმელად, არდადეგებზე ბებია-ბაბუასთან, სოფელში გაეშვათ. მოხუცები არაფერს დაიშურებდნენ, უკანასკნელ ლუკმას მოიკლებდნენ, ოღონდ შვილიშვილები გადაერჩინათ. მათთან მჭადისა და ყველის ნატეხი, ჭის ცივი წყალი და, რაც მთავრია, უსაზღვრო სითბო და სიყვარული, რომელსაც ისინი გულუხვად გასცემდნენ, ბავშვებს არ მოაკლდებოდათ.

ბავშვები რის ბავშვები იქნებოდნენ, თუ ხანდახან არ წაიეშმაკებდნენ...

... ეკა ბებია დილიდან დაღამებამდე ციბრუტივით ტრიალებდა, დაუღალავად ფუსფუსებდა. ბავშვებს დილით ერბოკვერცხსა და ჩაის მიართმევდა. შუადღისას ბალიშის ქვეშ ამოდებული ცხელი მჭადის დიდ ნატეხს ყველის პატარა ნაჭერს მიუმატებდა და თან დააყოლებდა – სადილამდე არაფერი მომთხოვოთო. ერთი მჭლე ძროხა ცოტას იწველიდა და ამიტომ იყო, ყველს რომ უზოგავდა. მაგრამ დამშეულ ბავშვებს სადილობამდე ყველის ნაჭერი და მჭადის ნატეხი რას ეყოფოდათ, ამიტომ ეშმაკობას მიმართავდნენ – ჯერ ყველს მოუღებდნენ ბოლოს და ხელში მჭადის ნატეხი რომ შერჩებოდათ, ბებიას შესჩივლებდნენ – ყველი არ გვეყო და ცოტა კიდევ დაგვიმატეო. თავდაპირველად ბებია ვერაფერს ხვდებოდა, ყველის ახალ ნატეხს მიაწოდებდა და ბავშვებიც გემრიელად შეექცეოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბებიას ისევ შეაცოდებდნენ თავს – ყველი მოგვრჩა და მჭადი გაგვითავდაო. ისიც ხმელა მჭადის დიდ ნატეხს დაუმატებდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მაგრამ ბოლოს კეთილი მოხუცი ბავშვებს ოინბაზობას მიუხვდა და აღარ ტყუვდებოდა.

მჭადი ადვილი მისაგნები იყო – ბებია ხშირად ბუფეტში, ან ბალიშის ქვეშ ინახავდა. რა თქმა უნდა, ბავშვებს ბალიშის ქვეშ, ცხლად შენახული ერჩიათ. აი, ყველს კი ვერაფრით მიაგნეს – ბებია სადღაც საგულდაგულოდ მალავდა, მაგრამ სად? ბიჭებმა ბებიას თვალთვალი დაუწყეს. ერთ დღესაც აღმოაჩინეს, რომ სახლის გვერდით, ბნელ საკუჭნაოში, სადღაც კუთხეში ბებიას დიდი ხალამი ედგა და ყველს წათხში ინახავდა. ხალმის ძირში უკვე გამაგრებული, მარილიანი ყველი ეწყო, უმარილო და ჭყინტი კი ზევით იყო მოქცეული. მას მერე, რაც ხალამთან მისასვლელ გზას მიაგნეს, პატარები მალულად იპარებოდნენ საკუჭნაოში, ერთ წველა ჭყინტ ყველს ამოიღებდნენ, შუაზე გაყოფდნენ და იქვე, მადიანად შეექცეოდნენ.

მალე ხალამში ყველი განახევრდა. პირველ ხანებში ბებია ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ მერე ეჭვი აიღო, რადგან ყველმა თანდათან იკლო. ახლა ბებია „ჩაუსაფრდა“ შვილიშვილებს და სულ მალე მათი დანაშაული გამოამზეურა, რისთვისაც ორივე სამართლიანად დასაჯა – იმ დღეს ისინი თანატოლებთან სათამაშოდ აღარ გაუშვა.

მხატვარი ვაჟა ქურხული



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პაწაწინა ლექსები



## ვალერიან მოსაშვილი

* * *

ტახტქვეშ სმინავს ზარმაც ფისოს,
გაუმართავთ თაგვებს ლხინი,
დასცინიან: ,,კატავ, გქონდეს
მაგარი და ტკბილი ძილი.“

* * *

მზეო, ნუღარ ცხარობ,
თავი ნუღარ მოგაქვს,
რას დამაკლებს სიცხე,
დავიფარებ ქოლგას.

## დალი მაზმიშვილი

* * *

პაწაწინა ვარიკა
ხმას დიდივით ინაზებს,
ქანდარაზე სკუპდება
ყვინჩილების ჯინაზე.

* * *

ბაკი-ბუკი, თიკანო,
ჭამა უნდა იკმარო,
დააცადე, ნეკერი
ბუჩქმაც ამოიყაროს.

## ლალი ჯაფარაშვილი

## კარგი დასასრული

კატა კაკალს
კავზე აგებს -
ჩაუსაფრდა
თავხედ თაგვებს.
ფიქრობს:
- ალბათ ცხვირში უვლით
მოხალული
ნიგვზის სუნი...
მსუნაგები ბრძანდებიან,
მალე გამობრძანდებიან!
თაგვები კი
არსად ჩანან,
გაგონილა
ამისთანა?
თურმე სურდო
შეპყრიათ,
ფეხთ უთბუნებთ
ბებია,
რა თხილი და
რა კაკალი...
ცინდლი მოსდით,
როგორც ღვარი!
დაქსუტუნებს ბებიაც...
თურმე სურდოც ბედია!
მოერია კატას რული -
ესეც კარგი დასასრული!

მხატვარი
ქეთი გივიშვილი



საქართველო
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რა უნდა ვიცოდეთ, რომ არ გავხდეთ ავად ინფექციური დაავადებით!






1. ხშირად დაიბანე ხელები საპნით, განსაკუთრებით, სახლში დაბრუნებისთანავე და ჭამის წინ.

2. არ ჩაიდო ხელები პირში და არ მოიკვნიტო ფრჩხილები. ეს საერთოდაც ცუდი ჩვევაა.

3. მოერიდე ყველანაირ ფრინველს, რადგან დაავადების მთავარი გადამტანი სწორედ ისაა.

4. აიფარე ცხვირსახოცი ხველის და ცემინების დროს.

5. მოერიდე ხალხმრავალ ადგილებს.

6. ხშირად გაანიავე ოთახი, რომელშიც იმყოფები.

7. არ ითამაშო მიწაში, რადგან იქ შეიძლება იყოს ფრინველის ექსკრემენტები.

8. არ შეეხო მიწაზე დავარდნილ ფრინველს.

9. დაავადების ნიშნების გამოვლენის დროს, რაც გამოიხატება თავის ტკივილში, ხველაში, სურდოში და ტემპერატურის მომატებაში, ჩაწექი ლოგინში და მიმართე ექიმს.






# საყმაწვილო ენციკლოპედია







## „დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია წიგნი XIV. ქიმია

ამ წიგნში საუბარი იქნება ქიმიაზე – მეცნიერებაზე, რომელსაც ძალუძს შეგვიძლვეს ქიმიური ნაერთების საოცრებათა სამყაროში და მათი ფერების კალეიდოსკოპურ შეხამებით გაგვაოცოს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები შეისწავლიან ბუნებაში არსებულ საგნებსა და მოვლენებს. მათ შორის ქიმიას გამორჩეული ადგილი უჭირავს – იგი თავად ქმნის „მეორე ბუნებას“, შესასწავლ ობიექტებს, ნივთიერებებს; თქმულის დასტურია, რომ დღეისათვის არსებული 20 მილიონზე მეტი ნივთიერებისაგან აბსოლუტური უმრავლესობა ქიმიურ ლაბორატორიებშია სინთეზირებული.

ძვირფასო მეგობრებო, ამ წიგნში თქვენ გაეცნობით სასწაულმოქმედი ქიმიის ჯადოსნურ სამყაროს. იმედი გვაქვს, მიღებული ცოდნა აუცილებლად გამოგადგებათ ყოველდღიურ საქმიანობაშიც. გისურვებთ არაერთი ახალი აღმოჩენის უსაზღვრო სიხარულს ქიმიის სიბრძნის დაუფლების გზაზე.




**გამოვიდა**

## „დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკა წიგნი IX. ნაზი თარგამაძე, „რომ აგიხდეს ნატვრა...“

საყმაწვილო ბიბლიოთეკის სერიით კიდევ ერთი შესანიშნავი საბავშვო პოეტის ნაზი თარგამაძის ლექსების კრებულს გთავაზობთ. ამ წიგნში თავმოყრილი ლექსების უმეტესობა წლების მანძილზე „დილის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა, ზოგიერთი მათგანი თქვენს დედებს და მამებს ემახსოვრებათ, ზოგი, ცოტა მოგვიანო, ალბათ თქვენც გაგახსენდებათ, ზოგი კი ახალი იქნება მკითხველისთვის. ფერად-ფერადი ნახატებით დახუნძლული ეს წიგნი მხატვარმა გიორგი ჩაჩანიძემ გააფორმა და, იმედია, მშვენიერ ლექსებთან ერთად, ლამაზი ილუსტრაციებიც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.






**გამოვიდა**

# საყმაწვილო ბიბლიოთეკა

დილა
გამოცემის 102-ე წელიწადი
გამომცემელი შპს „დილა“

მთავარი რედაქტორი
დოდო წივწივაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ლევან ბაბუხადია

პასუხისმგებელი მდივანი
თამარ ნინიკაშვილი

პოეზია:
მაია წივწივაძე

პროზა:
მაგდა კვაჭანტირაძე

შემეცნებითი და გასართობი მასალები:
ციცინო მეზვრიშვილი

„დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია
პასუხისმგებელი რედაქტორი
ალეკო გაბელაია

„დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკა
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნანა კვარაცხელია

სტილი:
ცისანა ნიკოლაიშვილი

მხატვრობა და დიზაინი:
გია ლაფაური
თეა მიქაია

ტექნიკური რედაქტორი
ნუგზარ ბახტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნუგზარ არჩემაშვილი
მარიკა გიორგაძე
სალომე კვაჭანტირაძე

საფინანსო განყოფილება:
ნაირა ცოცხალაშვილი
გუგული ლეშკაშელი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:
მაყვალა გიორგაძე
ნანი კაკაჩია

ყდაზე ნახატი: თეა მიქაიასი

მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელ: 93 10 32; 93 41 30
http://www.dila.ge/
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com

ფასი 2.50 ლარი

ს. 30/14
ეროვნული ბიბლიოთეკა
F 343
2006

